საქართველოს პარლამენტის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველო
№ 07-1/30
"17" 04 2024
14 ფურცელი

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს საქართველოს პარლამენტის მიერ 2024 წლის 4 აპრილს მიღებულ „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ" და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს ორგანულ კანონებზე.

წარმოდგენილი ცვლილებებით უქმდება საქართველოს საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს 2032 წლის ჩათვლით ჩასატარებელი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის პარტიული სიების წარდგენის ზოგიერთ დროებით წესს. აღნიშნული ნორმის თანახმად, 2024 წლის 26 ოქტომბრისა და შემდგომი, 2028 წლამდე ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნებისათვის პარტიული სიების ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც ქალი უნდა იყოს, ხოლო პარლამენტის 2028 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისა და შემდგომი, 2032 წლის ჩათვლით ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნებისათვის ქალი უნდა იყოს პარტიული სიის ყოველ სამეულში.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლის მოქმედი რედაქციით, გენდერული კვოტირების პრინციპის გათვალისწინებით, დაწესებულია ასევე

პარლამენტის გამოკლებული წევრის ჩანაცვლების წესი. კერძოდ, თუ პარლამენტის გამოკლებული ქალი წევრი არჩეული იყო დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის პარტიული სიით, მის ადგილს იკავებდა იმავე პარტიულ სიაში პარლამენტის წევრობის მომდევნო ქალი კანდიდატი, ხოლო თუ პარლამენტის გამოკლებული მამაკაცი წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის პარტიული სიით, მის ადგილს იკავებდა იმავე პარტიულ სიაში პარლამენტის წევრობის მომდევნო კანდიდატი.

გენდერული კვოტა დაწესებულია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვისაც. 2032 წლის ჩათვლით ჩასატარებელი მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის პარტიულ სიაში ყოველი სამი კანდიდატიდან ერთი მაინც ქალი უნდა იყოს.

საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, პოლიტიკურ პარტიებს აღარ ექნებათ ვალდებულება, თავიანთი საარჩევნო სია გენდერული კვოტირების მოთხოვნების შესაბამისად დააკომპლექტონ. ასევე, პარტიულ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება 30-ით, ნაცვლად 60-ისა.

პარლამენტის მიერ მიღებული ორგანული კანონით ცვლილება შედის ასევე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რომლის თანახმადაც უქმდება ფინანსური წახალისების ინსტრუმენტი - საბიუჯეტო დაფინანსებაზე 30%-იანი დანამატი, რომელიც პარტიებს დამატებით ფინანსურ წახალისებას სთავაზობს სიებში ქალი კანდიდატების შესაბამისი პროპორციით გათვალისწინებისათვის, პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდისა და პარტიებში ქალთა ორგანიზაციების გაძლიერებისათვის.

განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ გენდერული კვოტირების მექანიზმი არის შეზღუდვა როგორც პოლიტიკური პარტიებისათვის, ისე იმ სქესის წარმომადგენლებისათვის, რომლის გაძლიერების მოტივითაც შეიქმნა ეს ნორმა. ასეთი ხელოვნური ჩარევით ქალების პოლიტიკაში მონაწილეობა სერიოზულ სახეს ვერასოდეს მიიღებს. კანონპროექტის მიზანია, დაეხმაროს

პოლიტიკით დაინტერესებულ ქალებს თავი დააღწიონ კვოტით გამოწვეულ რეპუტაციულ ზიანს. სქესის ნიშნით კვოტირება კიდევ უფრო აღრმავებს ქალების მიმართ არსებულ სტერეოტიპებს, რის გამოც რთულია ქალების სათანადო პოლიტიკურ მოთამაშეებად აღქმა.

განმარტებითი ბარათში ასევე აღნიშნულია, რომ პოლიტიკური პარტიის თავისუფლება დაკავშირებულია დემოკრატიის პრინციპთან, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური პროცესი უნდა წარიმართოს თავისუფალ გარემოში, რომელიც უზრუნველყოფს პარტიების თავისუფალ საქმიანობას. დაუშვებელია ყოველგვარი ხელოვნური, გარეგანი ჩარევა პოლიტიკური პარტიის ფორმირების პროცესში. საარჩევნო სიის ფორმირების პროცესში პოლიტიკური პარტია უნდა იყოს თავისუფალი.

საკანონმდებლო ცვლილებები ინიციირებულია საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „გირჩის“ წევრების - იაგო ხვიჩიას, ალექსანდრე რაქვიაშვილის, ვახტანგ მეგრელიშვილის და ჰერმან საბოს მიერ. ამასთან, ცვლილებებს მხარი დაუჭირა მმართველმა პარტიამ. „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, „ქალები საქართველოს პარლამენტში ამიერიდან, განსაკუთრებით მომავალი დროიდან, უნდა მოხვდნენ დამსახურებისა და პროფესიონალიზმის და არა კვოტირების მიხედვით. ჩვენ გადავლახეთ ის ეტაპი, როდესაც გარკვეული პოზიტიური დისკრიმინაცია შეიძლებოდა საჭირო ყოფილიყო.“ აქვე აღინიშნა, რომ „იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ ქალების კვოტირების თემას მხარს დაუჭერს, პარტია „გირჩი“, თავის მხრივ, „ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით და არა „პოლიტიკური ინტერესით“ დაუჭერს მხარს ცესკოს თავმჯდომარის და მისი წევრების კანდიდატების არჩევას“.

აღსანიშნავია, რომ ევროპული პერსპექტივის მინიჭებისას, ევროკომისიის მიერ საქართველოსათვის განსაზღვრული 12 პრიორიტეტიდან ერთ-ერთი გენდერული თანასწორობა იყო. ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯების, მათ შორის, გენდერული კვოტირების 2032 წლამდე გახანგრძლივების გათვალისწინებით,

აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა. შესაბამისად, სავალდებულო გენდერული კვოტის გაუქმების თაობაზე კანონის მიღება აშკარა რეგრესი და უკან გადადგმული ნაბიჯია საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად“. დასახელებული კონსტიტუციური დებულება ქალებსა და მამაკაცებს შორის რეალური თანასწორობის დამკვიდრებისაკენ მიმართული ნორმაა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იგი აკვალიფიცირებს სამართლის წინაშე თანასწორობის უფლების მოქმედებას სახელმწიფოს მიერ მამაკაცებსა და ქალებს შორის არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის ღონისძიებებთან მიმართებით. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი სახელმწიფოს უდგენს ვალდებულებას, კონკრეტული სქესის წარმომადგენელთა სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით, მიიღოს განსაკუთრებული ზომები სქესის ნიშნით პირთა შორის არსებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელეების - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრის“, ჰერმან საბოს, ზურაბ გირჩი ჯაფარიძის და ანა ჩიქოვანის სარჩელის საფუძველზე განიხილა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 203-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი, მე-3 და მე-4 წინადადებების კონსტიტუციურობა და შეაფასა გენდერული კვოტირების საკითხი. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ პარლამენტში ქალების წარმომადგენლობის გაზრდა არის კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი კონსტიტუციური მიზანი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, უდავოა, რომ უმრავლეს სფეროებში ქალსა და მამაკაცს წარმატების მიღწევის და წარმატებული საქმიანობის ერთნაირი უნარები აქვთ. აღნიშნულის მიუხედავად, სქესთა შორის რეალური თანასწორობის, არსებული ერთნაირი უნარების თანაბრად რეალიზების უზრუნველყოფა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს, მათ შორის, განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებშიც კი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ მხრივ, არც საქართველო არის გამონაკლისი. წლების განმავლობაში საქართველოში საგანგაშოა სქესის ნიშნით ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების რიცხვი, ოჯახში ძალადობა, ქვეყანაში კვლავაც პრობლემურია ადრეული ქორწინების საკითხი, ისე როგორც ამ მიზეზით განათლების, განსაკუთრებით კი, ზოგადი განათლების ეტაპზე სწავლის შეწყვეტა და ა.შ. ამდენად, ფორმალური თანასწორობის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში, ქალის სასტარტო პირობები განათლების მიღებისა და საკუთარი ცხოვრების განსაზღვრის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად შეზღუდულია. საზოგადოებაში მიღებული სოციალური თუ მორალური ნორმები, რომლებიც ქმნის ქალებისთვის არათანასწორ გარემოს, აგრეთვე აისახება პოლიტიკური პარტიებისა და თავად პოლიტიკოსთა ნაბიჯებში. იგი ხელს უშლის ქალების ფართო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლას, აბრკოლებს მათ ცნობადობას და, მიუხედავად ფორმალურ-სამართლებრივი ბარიერების არარსებობისა, შედეგად მათთვის არათანასწორ რეალობას ქმნის.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია და ბოლო სამი მოწვევის ფარგლებში 5-იდან 16%-მდე მერყეობს. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი აღჭურავს სახელმწიფოს უფლებამოსილებით, მიიღოს ზომები პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისათვის. ამგვარ უთანასწორო წარმომადგენლობას შესაძლოა განაპირობებდეს მრავალი ფაქტორი, მათ შორის, იმგვარიც, რომელიც არ არის დაკავშირებული ქალებისთვის არც

კანონისმიერი და არც გარკვეული საზოგადოებრივი ბარიერების არსებობასთან, თუმცა ამგვარად მცირე წარმომადგენლობა შეუძლებელია უკავშირდებოდეს მხოლოდ ბუნებრივ ფაქტორებს და არ იყოს განპირობებული საზოგადოებაში არსებული, ქალების პოლიტიკაში მონაწილეობისათვის ხელშემშლელი გარემოებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტში ქალთა დაბალი წარმომადგენლობა პირდაპირ უკავშირდება ხელოვნურ ბარიერებს მათი უნარების რეალიზებისათვის.

ამავდროულად, საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა, თავისი არსით, არის როგორც გამოწვევა, ისე მნიშვნელოვანი ინტერესის საგანი დემოკრატიული საზოგადოებისათვის. იგი უზრუნველყოფს მეტად ინკლუზიურ, დაბალანსებულ და, რაც ყველაზე მთავარია, პლურალისტურ წარმომადგენლობას.

აღსანიშნავია, რომ კანონის მიღება დაჩქარებული წესით, ფორსირებულ რეჟიმში წარიმართა. საპარლამენტო განხილვებზე ინიციატორებსა და უმრავლესობის წარმომადგენლებს არ წარუდგენიათ გენდერული კვოტირების გაუქმების საჭიროების ლეგიტიმური არგუმენტები. ამდენად, პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები არაერთი ექსპერტის თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის მიერ სამართლიანად იქნა შეფასებული ნეგატიურად.

ქალთა კვოტირების გაუქმება უარყოფითად იქნა შეფასებული სახალხო დამცველის მიერ. მისი განცხადების თანახმად, „გენდერული კვოტირების მექანიზმი არა ქალების მიმართ მინიჭებული პრივილეგია, არამედ ქალთა მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის აღმოფხვრის, სტერეოტიპებთან ბრძოლისა და საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ამ საკანონმდებლო ცვლილებებით კი უგულებელყოფილია ქალების მრავალწლიანი ბრძოლის შედეგები და უარესდება თანასწორობის მისაღწევად არსებულ მექანიზმები. ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელია ქალების ხმა მკაფიოდ ისმოდეს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსა

და პოლიტიკის განმსაზღვრელ სხვა უწყებებში, რათა დღის წესრიგში იდგეს ქალთა საჭიროებები და გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი ღონისძიებები“.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიშის თანახმად, ქალთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებაზე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული გენდერული სტერეოტიპები, დამოკიდებულებები გენდერული როლების მიმართ და უთანასწორო გარემო. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ 2023 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის მიხედვით, საქართველომ, ქალთა პოლიტიკური გაძლიერების მაჩვენებლით, მნიშვნელოვანი რეგრესი განიცადა და 57-ე ადგილიდან 91-ე ადგილზე გადაინაცვლა. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ 2023 წელს გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, ქალ პოლიტიკოსთა ნახევარზე მეტს (54%) განუცდია ამა თუ იმ ტიპის ძალადობა პოზიციაზე ყოფნის პერიოდში, ან საარჩევნო კამპანიის განმავლობაში. ასევე, გამოკითხულ პოლიტიკოსთა ნახევარზე მეტს (56%) პირადად გამოუცდია დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე.

პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი დღემდე ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა საქართველოში. ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდის მიზნით განხორციელებულმა ცალკეულმა ცვლილებებმა კვლავინდებურად ვერ მოახდინა არსებითი გავლენა პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდაზე.

ამ ფონზე პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები კიდევ უფრო გააუარესებს ქალთა წარმომადგენლობას პოლიტიკაში. საგულისხმოა, რომ პარლამენტთაშორისი კავშირის 2024 წლის თებერვლის მონაცემების მიხედვით, საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობით საქართველო მსოფლიოში 125-ე ადგილზეა. ამდენად, ცხადია, ქალთა წარმომადგენლობა წარმომადგენლობით ორგანოებში ჯერ კიდევ გამოწვევაა და დაჩქარებულად, ვადამდე გენდერული კვოტირების გაუქმება ყოველმხრივ გაუმართლებელია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტმა 2023 წელს მხარი დაუჭირა გენდერული კვოტირების 2032 წლამდე გახანგრძლივებას. აღნიშნული ცვლილებების განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ ცვლილებით, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/3/1526 გადაწყვეტილებისა და 2021 წლის 21 ოქტომბრის N3/2/1647 განჩინების საქართველოს საარჩევნო კოდექსში ასახვა, მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში შესაბამისი პარტიული სიების წარდგენისა და „გენდერული კვოტირების“ მსგავსი რეგულირება, რითაც კიდევ უფრო დაიხვეწება ორგანული კანონის მოქმედი რეგულაციები. ამავდროულად, 4 წლის ვადით გახანგრძლივდება „გენდერული კვოტირების“ მოქმედების ვადა, რითაც წახალისდება კიდევ უფრო მეტი ქალის მონაწილეობა პოლიტიკურ საქმიანობაში.

ასევე აღსანიშნავია, რომ ასოცირების შეთანხმების 349-ე მუხლის თანახმად, თანამშრომლობა, რომელიც დაფუძნებულია ინფორმაციის გაცვლასა და საუკეთესო გამოცდილებაზე, შესაძლოა, მოიცავდეს გარკვეულ საკითხებს შემდეგი სფეროებიდან: თანაბარი შესაძლებლობები და ანტიდისკრიმინაცია, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას და მამაკაცსა და ქალს შორის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, ასევე, სქესის, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან მრწამსის, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ (CEDAW/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი) დასკვნითი შენიშვნების 25-ე პუნქტით მოუწოდებს სახელმწიფოს, „უზრუნველყოს ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით, მაღალ და გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე. მათ შორის, საკანონმდებლო ორგანოებში. კომიტეტი

მოუწოდებს სახელმწიფოს, შემოიღოს სავალდებულო კვოტები პოლიტიკური პარტიებისთვის, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობას.“

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შეფასებისას ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ანგარიშში და რეკომენდაციებში ვკითხულობთ, რომ სახელმწიფომ უნდა გაიზიაროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) რეკომენდაცია და სავალდებულო გენდერული კვოტა დააწესოს: „...ხელისუფლებამ პარტიებისთვის სავალდებულო გენდერული კვოტები უნდა დააწესოს, რათა როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობა მნიშვნელოვნად გაიზარდოს.“

ამდენად, მამაკაცებისა და ქალებისათვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა როგორც კონსტიტუციით, ისე საერთაშორისო აქტებით არის განსაზღვრული. თავის მხრივ, ქალთა კვოტირების არსებული საკანონმდებლო მექანიზმის შენარჩუნება უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყანაში სქესთა შორის რეალური თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

გარდა აღნიშნულისა, პარლამენტის მიერ განხორციელებული ცვლილებებით ახლებურად ყალიბდება საარჩევნო კოდექსის 115-ე მუხლის მე-3 პუნქტი და საქართველოს პარლამენტში წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება 30-ით, ნაცვლად 60-ისა. მოქმედი რედაქციის თანახმად, წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 60-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი. წარმოდგენილი ცვლილება დაუსაბუთებელი და გაუმართლებელია. როდესაც, ერთი მხრივ, 2024 წლის ოქტომბრის არჩევნებში პარლამენტი აირჩევა სრულად პროპორციული წესით და, მეორე მხრივ, პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5 პროცენტი

მაინც მიიღეს, რთულად გასაზიარებელია არგუმენტი, რომ პარტია, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს და განზრახული აქვს, რომ მისი წევრები არჩეულ იქნენ პარლამენტში, შეიძლება ვერ ახერხებდეს 60 კანდიდატის მოძიებას, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ არჩეულ იქნენ ამ პარტიის მიერ შედგენილი სიით. ამასთან, პარტიებისათვის სიის 30-წევრიანი მინიმალური ზღვრის დაწესებამ შესაძლოა რისკის ქვეშ დააყენოს პარლამენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელება, რამდენადაც, იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველი მხარს დაუჭერს პარტიის საარჩევნო პროგრამას და იგი ამომრჩეველთა მაღალ ნდობას დაიმსახურებს, ხოლო პარტია წარმოდგენილი იქნება მხოლოდ 30-კანდიდატიანი სიით, შეუვსებელი დარჩება მანდატები. ამდენად, წარმოდგენილი ცვლილებები გაუმართლებელია და მოკლებულია ყოველგვარ მყარ არგუმენტაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთავაზობთ საქართველოს საარჩევნო კოდექსისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოქმედი რედაქციები დარჩეს უცვლელი, კერძოდ: საქართველოს საარჩევნო კოდექსის 115-ე მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტები, 143-ე მუხლის მე-5 პუნქტი და 203-ე მუხლი, ასევე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39^1 მუხლი ჩამოყალიბდეს არსებული რედაქციით.

სალომე ზურაბიშვილი

N2766
17.04.2024